ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № ---

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ----- ---------- 2017 წელს

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გამგებლის ---------- და მეორეს მხრივ --------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი ---------- სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **SPA** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1 CPV კოდი: **CPV45400000.**

1.2 შესყიდვის ობიექტის მოცულობები, ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. CPV კოდი:

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს --------- (----------) ლარს

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულება (%) და 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნენები (%)

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის შესრულების პირობები

3.1 სამუშაოს შესრულება დაიწყება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და დასრულდება ----- კალენდარულ დღეში 2017 წლის ---------- ჩათვლით.

3.2 სამუშაო დასრულებულად ჩაითვლება წერილობითი მომართვის, ფორმა N2-ის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო–ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 სამუშაოთა საბოლოო მიღება–ჩაბარება განხორციელდება არსებობის შემთხვევაში ფარულ სამუშაობზე ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ფორმა N2-ის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო–ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. (ექსპერტიზის ხარჯები გაიწევა მიმწოდებლის მიერ).

4.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს სამუშაოს შემსრულებელი;

4.3 გარანტია შესრულებულ სამუშაოზე შეადგენს3 წელს, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადისა, წინამდებარე ხელსეკრულებაში მითითებული საგარანტიო პირობები მოქმედებენ შესაბამისის საგარანტიო ვადით, რომლის განმავლობაში ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საგარანტიო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ზალის ზემოქმედებით.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 მიმწოდებლის მოთხოვნით, მხარეთა შორის 30%–ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, საავანსო თანხის გადახდაზე, რომლის მოქმედების ვადა 1(ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები ცალკეულ ობიექტებზე მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს 80%-ის ოდენობით.

5.4 შუალედულრი ანგარისწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებობის შემთხვევაში ფარულ სამუშაოებზე ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ფორმა N2–ის, სახელმწიფო შესყიდვებით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მონიტორინგის დაწესების მიზნით შექმნილი ჯგუფის შედგენილი აქტის, საგადასახდო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.5 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მომართვის, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე არსებობის შემთხვევაში ფარულ სამუშაოებზე ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ფორმა N2–ის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო–ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. (ექსპერტიზის ხარჯები გაიწევა მიმწოდებლის მიერ).

მუხლი 6.. მხარეთა უფლება მოვალეობები

6.1შემსყიდველი და სამუშაოს შემსრულებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს სამუშაოს შემსრულებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს სამუშაოს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს სამუშაოს შემსრულებელს რაიმე დეფექტის აღმოჩენის შესახებ.

6.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით;
- ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

6.4სამუშაოს შემსრულებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით.
- სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამუშაოს შემსრულებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და სამუშაოს შემსრულებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება სამუშაოს შემსრულებელს;

- სამუშაოს შემსრულებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

6.5 სამუშაოს შემსრულებელს უფლება აქვს:– მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

6.6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ტექნიკურ ზედამხედველობაზე პასუხიმგებელია ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმმოწერილი წერილობითი ფორმით.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

7.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებაში პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების რირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

7.1 სამუშაოს შემსრულებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მესამე პირს.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და პასუხისმგებლობა. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

12.3 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

12.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციები განისაზღვროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ით,ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისთვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით. გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მოცემული 15 დღით გათვალისწინებული ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

12.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუსაოების დაწყების 10(ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების სემთხვევაში.

ბ) თუ ვადაგადაცილებული დღეების საჯარიმო სანქციებმა შეადგინა სახელშეკრულებო ღირებულების 2%.

გ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9. მუხლი დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისის მხარე არ თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.2 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და სამუშაოს შემსრულებელი ვერ შეძლებს სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის ----------

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“